



დამტკიცებულია შპს კოლეჯი მესამე სამედიცინოს

დირექტორის

თ. სურმავა

2025 წლის 27 დეკემბრის №166 ბრძანებით

შპს კოლეჯი მესამე სამედიცინო

სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა (2026-2032)

შესავალი

პროფესიული განათლება საქართველოს მთავრობის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია და ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობად განიხილება. პროფესიული განათლება ერთის მხრივ, უზრუნველყოფს შრომის ბაზარს კვალიფიციური კადრებით, ხოლო მეორეს მხრივ, ხელს უწყობს ახალგაზრდებისა და ზრდასრულების დასაქმებას და კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე.

აღნიშნული პრიორიტეტების განხორციელებაში მნიშვნელოვანი ფუნქცია საგანმანათლებლო დაწესებულებებს ენიჭებათ. შპს კოლეჯი მესამე სამედიცინო შეიმუშავა პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა (2026-2032 წლები).

სტრატეგიული გეგმა არის მოქნილი დოკუმენტი და მისი მოდიფიცირება შესაძლებელია ქვეყანაში არსებული რეალობისა და განათლების სფეროში განხორციელებული სიახლეების შესაბამისად ან/და იმ ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომელთა გათვალისწინებაც მოხდა წინამდებარე დოკუმენტის შემუშავებისას.

სტრატეგიული განვითარების გეგმა შესაბამისობაშია კოლეჯის მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან;

სტრატეგიული გეგმის შედგენისას ხდება ქვეყნის/რეგიონის პრიორიტეტების გათვალისწინება;

სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და მასში ჩართულნი არიან დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალი, პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პარტნიორი დაწესებულებები/დასაქმებულები და დირექტორის მიერ განსაზღვრული სხვა დაინტერესებული მხარეები.

დაწესებულების მისია - კოლეჯი მესამე სამედიცინო, მრავალპროფილური საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომლის წამყვანი მიმართულებაა ჯანდაცვა, რომელიც ზრუნავს კონკურენტუნარიანი, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიონალების აღზრდაზე; რისთვისაც უზრუნველყოფს, მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლების მიღების შესაძლებლობას, სტუდენტზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოში.

ხედვა - კოლეჯი მესამე სამედიცინო 2032 წლისათვის ერთ-ერთი წარმატებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებაა, სტუდენტების დასაქმების მაღალი მაჩვენებლით, რომელთა მიღებული განათლების ხარისხი სრულად პასუხობს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; ფინანსურად ხელმისაწვდომი, დაკომპლექტებული მაღალკვალიფიციური პროფესიული განათლების მასწავლებლებითა და თანამშრომლებით, მრავალფეროვანი პარტნიორობით.

ღირებულებები - ჰუმანიზმი, სანდობა, მაღალი პროფესიონალიზმი და თანასწორობა.

SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები (Strengths):

- სამედიცინო განათლების სფეროში მრავალწლიანი გამოცდილება;
- პრაქტიკული და თეორიული გამოცდილების მქონე მაღალკვალიფიციური პერსონალი;
- სიმულაციური სწავლებისთვის აღჭურვილი ინფრასტრუქტურა;
- სტუდენტზე ორიენტირებული მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
- სტუდენტთა სწავლების დასაფინანსებლად სახელმწიფო დაფინანსების პროგრამაში ჩართულობა;
- მყარი, ხანგრძლივი ურთიერთობა პარტნიორ პრაქტიკის ობიექტებთან;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი.

შესაძლებლობები (Opportunities):

- ახალი მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება;
- მოკლევადიანი კურსების, პროფესიული მომზადების და გადაზადების პროგრამების განხორციელება;
- დამსაქმებელთან მჭიდრო ურთიერთობა და კავშირის გაძლიერება, სასწავლო პროცესის განვითარების მიზნით;
- მრავალმხრივი შიდა და საერთაშორისო პარტნიორობის დამყარება;
- ხარისხის მართვის რეგულაციით სწავლების დონის გაუმჯობესება;
- პროფესიული პროგრამების განხორციელება ჰიბრიდულ/დისტანციურ რეჟიმში;
- დაწესებულების ბაზაზე პრაქტიკული მეცადინეობის შესაბამისი გარემოს შექმნა;
- პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა კარიერული განვითარების ხელშეწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- ადამიანური რესურსების გაძლიერება;

სუსტი მხარეები (Weaknesses):

- საკუთარი შენობის არქონა;
- გაცვლითი პროგრამების არქონა;
- პროფესიული მომზადება/გადაზადების პროგრამების არქონა;
- საშუალო ანაზღაურება ადამიანური რესურსების განვითარებისათვის;
- მისაღებ სტუდენტთა მცირე რაოდენობა;
- საერთაშორისო პარტნიორობის არქონა.

საფრთხეები (Threats):

- სახელმწიფო კოლეჯებთან არათანაბარ პირობებში ყოფნა, არაჯანსაღი კონკურენცია;
- არასტაბილური ეკონომიკური მდგომარეობა ქვეყანაში;
- კონკურენტულ პირობებში, კლინიკის ბაზაზე არსებული კოლეჯები;
- კოლეჯში არსებულ პროგრამებზე, ქვეყნის ბაზარზე მაღალკონკურენტიანი გარემო;
- დაფინანსების არმქონე პროგრამებზე სწავლის საფასურის ზრდა, რაც იწვევს პროგრამების დამატების მხრივ რისკის ზრდას პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის შემცირებით, მათი ნაკლებობა კი კვლავაც პროგრამის განხორციელების გაუქმებას;
- ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები.

სტრატეგიული მიზანი №1: სწავლა-სწავლების ხარისხისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების უწყვეტი განახლება და განვითარება

№	ამოცანა	წლები						შესრულების ინდიკატორი/ სამიზნე ნიშნული	პასუხისმგებელი პირ(ებ)ი	
		2026	2027	2028	2029	2030	2031			2032
1.	ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რეგულარული განახლება და განვითარება შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად	*	*	*	*	*	*	*	ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განახლება და გაუმჯობესება განხორციელდა მინიმუმ 80%-ის ფარგლებში; დაინტერესებული ორგანიზაციების (სტუდენტები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები) კმაყოფილების მაჩვენებელი გაზრდილია ყოველწლიურად მინიმუმ 10%-ით; პროგრამის სამუშაო ორგანიზების შეხვედრების და დამსაქმებელთა/კურსდამთავრებულთა გამოკითხვების შედეგების ანალიზი უზრუნველყოფს სისტემურ პროცესს პროგრამების განახლებისა და შეფასებისთვის.	დირექტორის მოადგილე, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი;
2.	შრომის ბაზარზე მოთხოვნილი ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, დანერგვა და უწყვეტი განვითარება			*	*	*	*	*	შემუშავებულია და დანერგილია მინიმუმ ერთი ახალი ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება პროგრამ(ებ)ის დამატებასთან დაკავშირებით; საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური, საგანმანათლებლო და ადამიანური რესურსით, პრაქტიკის ობიექტებით, შემუშავებულია პროგრამის ბიუჯეტი; ყველა პროგრამა სრულად შესაბამისობაშია შრომის ბაზრის კვლევის და ანალიზის შედეგებთან.	
3.	მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამების შემუშავება, დანერგვა და განახლება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში		*	*	*	*	*	*	შემუშავებული და დანერგილია მინიმუმ 2 მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამა რომელიც სრულად შესაბამისობაშია შრომის ბაზრის ანალიზის შედეგებთან. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადასტურებულია შემუშავებული მომზადება/გადამზადების პროგრამები. პროგრამების განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური,	

									საგანმანათლებლო და ადამიანური რესურსით, პრაქტიკის ობიექტებით, შემუშავებული პროგრამის ბიუჯეტი; პროგრამ(ებ)ის მონაწილეთა კმაყოფილების მაჩვენებელი შეადგენს მინიმუმ 80%-ს, რაც ცხადყოფს პროგრამის ხარისხსა და ეფექტიანობას.
4.	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაციის გაძლიერება და პროფესიული განათლების იმიჯის გაუმჯობესება	*	*	*	*	*	*	*	ყოველწლიურად ჩატარებულია მინიმუმ 1 პოპულარიზაციის ღონისძიება, რაც ხელს უწყობს კოლეჯის ცნობადობის ზრდას; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ ინტერესი გაზრდილია; პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მომართვიანობა ყოველწლიურად იზრდება მინიმუმ 10%-ით;
5.	ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობების გაზრდა შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზის საფუძველზე	*	*	*	*	*	*	*	ავტორიზაციის საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ავტორიზებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ (მინიმუმ 1 პროგრამაზე); განხორციელებულია შრომის ბაზრის ანალიზი; უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხი და სტუდენტების მიღების შესაძლებლობა;
6.	შეფასების სისტემის სრულყოფა და განვითარება თანამედროვე, რელევანტური შეფასების მეთოდებისა და მიდგომების ინტეგრირებით	*	*	*	*	*	*	*	ყოველწლიურად დანერგილია შეფასების მეთოდების ახალი, თანამედროვე მიდგომები, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ეფექტიანობის ზრდას; მოდიფიცირებულია შეფასების ინსტრუმენტები; შემუშავებული და დადასტურებულია შეფასების მეთოდოლოგიური დოკუმენტები; თეორიული სწავლების შეფასების პროცესი ხელმისაწვდომია ონლაინ/პროგრამული ფორმატით, რაც უზრუნველყოფს შეფასების მოქნილ, დროულ და გამჭვირვალე განხორციელებას; შეფასების პროცესში მონაწილე პერსონალი მინიმუმ 80% კმაყოფილია, რაც ცხადყოფს პროცედურების ხარისხსა და სისტემის გამართულ მუშაობას.

7.	სწავლა-სწავლების თანამედროვე, ინოვაციური და სტუდენტზე ორიენტირებული მეთოდების დანერგვა და გაუმჯობესება	*	*	*	*	*	*	*	<p>ყოველწლიურად დანერგილია ინოვაციური სწავლების მეთოდები, რაც უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების ეფექტიანობის ზრდას თანამედროვე მეთოდების გამოყენებით;</p> <p>დანერგილია დისტანციური/ჰიბრიდული სწავლების ფორმატები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის მოქნილობას და სტუდენტთა ჩართულობის ზრდას;</p> <p>სტუდენტთა მინიმუმ 80% კმაყოფილია სწავლების პროცესით;</p> <p>კოლეჯის აქტივობებისა და პროგრამების მიმართ სტუდენტთა ინტერესი გაზრდილია;</p>	
8.	პარტნიორ დაწესებულებებთან პრაქტიკის ქსელის გაფართოება და განვითარება	*	*	*	*	*	*	*	<p>პარტნიორი ორგანიზაციების რაოდენობა გაზრდილია, რაც უზრუნველყოფს კოლეჯის საერთაშორისო და ადგილობრივი ქსელის გაფართოებას;</p> <p>პრაქტიკის ქსელი გაფართოებულია, გაფორმებულია მემორანდუმები/ხელშეკრულებები ახალ პარტნიორებთან;</p> <p>მიღებულია დამსაქმებელთა უკუკავშირი/შეფასებები (კმაყოფილება მინიმუმ 80%) და მომზადებულია მოკლე ანალიზი;</p> <p>პარტნიორ დაწესებულებებთან განხორციელებულია სამუშაო და საინფორმაციო შეხვედრები (მინიმუმ ერთი წელიწადში);</p> <p>მონიტორინგის მიზნით ჩატარებული ვიზიტები უზრუნველყოფს სისტემურ ანალიზს და ანგარიშგებას;</p> <p>სტუდენტთა მინიმუმ 80% კმაყოფილია პრაქტიკული სწავლებით;</p>	
სტრატეგიული მიზანი №2: ადამიანური რესურსების პროფესიული კომპეტენციების, მოტივაციისა და მართვის სისტემის განვითარება										
№	ამოცანა	წლები							შესრულების ინდიკატორი/ სამიზნე ნიშნული	პასუხისმგებელი პირ(ები)
		2026	2027	2028	2029	2030	2031	2032		
1.	პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიული და კარიერული კომპეტენციების განვითარება, კოლეჯის მართვის პროცესებში მათი ეფექტიანი	*	*	*	*	*	*	*	გაზრდილია პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა;	საქმისწარმოების ა და ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი

<p>ჩართულობის უზრუნველსაყოფად, პროფესიული უნარების შეფასებისა და შესაბამისი ტრენინგების გამოყენებით</p>									<p>გაუმჯობესებულია მათი კარიერული და პროფესიული კომპეტენციები, მათ შორის სწავლის შედეგების მიღწევისა და შეფასების მიმართულებით; განხორციელებული საქმიანობის შეფასების ანალიზის საფუძველზე გაუმჯობესებულია საქმიანობის შეფასების სისტემის ეფექტიანობა; ყოველწლიურად დატრენინგებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირთა მინიმუმ 10%, საჭიროებათა კვლევის საფუძველზე; პროფესიული სტუდენტების კმაყოფილება გაზარდილია (მიზნობრივი მაჩვენებელი: 100%);</p>	
<p>2. პერსონალის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების, ასევე ადმინისტრაციული და მართვის პროცესების ეფექტიანობის განვითარება და სტანდარტიზაცია</p>	*	*	*	*	*	*	*	*	<p>დამუშავებული და განახლებულია პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც 100%-ით ხელმისაწვდომია თანამშრომლებისთვის; შეფასებისა და შერჩევის სისტემა სრულად ფუნქციონირებს (90%-იანი შესაბამისობის მაჩვენებელი); ადმინისტრაციული პროცესები სტანდარტიზირებულია, დოკუმენტირებული და ყველა თანამშრომლისთვის გასაგები (100%-იანი ძირითადი პროცესების დაფარვა); მართვის პროცესების ეფექტიანობა გაზარდილია მინიმუმ 20%-ით; თანამშრომელთა კმაყოფილება და მოტივაცია გაზარდილია მინიმუმ 15%-ით ყოველწლიურად;</p>	
<p>3. მაღალკვალიფიციური ადმინისტრაციული პერსონალის და პროფესიული განათლების მასწავლებლების მოზიდვა, შენარჩუნება, მოტივაციის გაძლიერება და პროფესიული შესაძლებლობების განვითარება</p>	*	*	*	*	*	*	*	*	<p>კოლეჯში მოზიდულია მაღალკვალიფიციური ადმინისტრაციული პერსონალი და პროფესიული განათლების მასწავლებლები, შენარჩუნების მაჩვენებელი წელიწადში მინიმუმ 80%-ით; პერსონალის მოტივაცია და ჩართულობა გაზარდილია მინიმუმ 20%-ით, რაც აისახება კარიერული წინსვლისა და კმაყოფილების მაჩვენებლებში; განხორციელებულია პროფესიული განვითარების ღონისძიებები (ტრენინგები, კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, სხვა პროექტები), რომლებიც აუმჯობესებს კომპეტენციებს და კარიერულ წინსვლას, წელიწადში მინიმუმ 80% მონაწილეობით;</p>	

კოლეჯის სტრატეგიული მიზნების შესრულებისათვის შექმნილია მოტივირებული, ეფექტიანი და პროფესიონალურად მომზადებული გუნდი.

სტრატეგიული მიზანი №3: პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა სერვისების გაუმჯობესება

№	აზიანა	წლები						შესრულების ინდიკატორი/ სამიზნე ნიშნული	პასუხისმგებელი პირ(ები)	
		2026	2027	2028	2029	2030	2031			2032
1.	პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის სერვისების განვითარება, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ღონისძიებებისა და ექსტრაკურსული აქტივობების გაძლიერება	*	*	*	*	*	*	*	სასწავლო პროცესთან დაკავშირებით ჩატარებული ღონისძიებები (მინიმუმ 2 წელიწადში) და ორგანიზებული ექსტრაკურსული აქტივობები (მინიმუმ 2 წელიწადში) უზრუნველყოფს მონაწილეთა რაოდენობის ზრდას მინიმუმ 20%-ით; გაზრდილია სტუდენტების და კურსდამთავრებულების ინიციატივებისა და მათ მიერ ორგანიზებული ექსტრაკურსული აქტივობების რიცხვი; სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მზარდი კმაყოფილება განხორციელებულ სერვისთა მიმართ; აქტიურად გამოყენებულია ელექტრონული პლატფორმები სერვისების მხარდაჭერისთვის;	სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერი
2.	კარიერული მხარდაჭერის სისტემის გაძლიერება, პროფორიენტაცია და დასაქმების ხელშეწყობა	*	*	*	*	*	*	*	კარიერული განვითარების ხელშეწყობის მიზნით სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის განხორციელებულია მინიმუმ 2 ღონისძიება ყოველწლიურად; ყოველწლიურად ჩატარებულია მინიმუმ 3 ვიზიტი ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფორიენტაციის მიზნით; უზრუნველყოფილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა ინფორმირება და მათი მხარდაჭერა; გაზრდილია საზოგადოების წილი კოლეჯისადმი; გაზრდილია სტუდენტთა ცნობიერება კარიერული მხარდაჭერის მიმართულებით; შექმნილია მჭიდრო პარტნიორობები ორგანიზაციებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ დასაქმების პროცესს და მიღებულია მათგან უკუკავშირი/შეფასება;	

										ჩატარებულია კმაყოფილების კვლევა დასაქმების ხელშეწყობის მიზნით; მიღებულია დასაქმების ფორუმებში მონაწილეობა (მინიმუმ ერთხელ წელიწადში); გაუმჯობესებულია კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა;
3.	სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესება თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გამოყენებით	*	*	*	*	*	*	*	*	დანერგილია თანამედროვე სასწავლო ტექნოლოგიები/ინოვაციური მეთოდები; შემუშავებული და დანერგილია თანამედროვე მიდგომების შესაბამისი, მოქნილი და გამჭვირვალე ელექტრონული სწავლების/შეფასების მექანიზმები; გაზრდილია სტუდენტთა კმაყოფილება სასწავლო პროცესებთან მიმართებაში (მინიმუმ 80%); გაზრდილია სწავლა-სწავლების ეფექტიანობა მინიმუმ 10%-ით ყოველწლიურად; ელექტრონული პლატფორმებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენება სასწავლო პროცესში გაიზარდა მინიმუმ 15%-ით ყოველწლიურად; პერსონალის მინიმუმ 80%-მა გაიარა შესაბამისი ტრენინგები; დანერგილია სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემა; სტუდენტებისთვის და პროფესიული მასწავლებლებისთვის გამარტივებულია სწავლის შედეგების დადასტურების სისტემა.

სტრატეგიული მიზანი №4 ინფრასტრუქტურის, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების განვითარება										
№	ამოცანა	წლები							შესრულების ინდიკატორი/ სამიზნე ნიშნული	პასუხისმგებელი პირ(ებ)ი
		2026	2027	2028	2029	2030	2031	2032		
1.	ინფრასტრუქტურული განვითარება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერება	*	*	*	*	*	*	*	კოლეჯს დამატებული აქვს ახალი სასწავლო ფართი, რომელიც უზრუნველყოფს სწავლების პროცესის გაფართოებასა და გაუმჯობესებას; მოდერნიზებულია მინიმუმ 5 სასწავლო სივრცე, რომლებიც თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაშია;	დირექტორის მოადგილე

									<p>განახლებულია მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის მინიმუმ 40%, საჭიროების შესაბამისად;</p> <p>ინფრასტრუქტურა (მათ შორის სასწავლო და ადმინისტრაციული სივრცეები) განახლებულია მინიმუმ 25%-ით და სრულად აკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტებს (100%);</p> <p>გაუმჯობესებულია სასწავლო გარემოს შესაბამისობა თანამედროვე სტანდარტებთან;</p> <p>გაზრდილია სტუდენტებისა და პერსონალის კმაყოფილების დონე ინფრასტრუქტურულ პირობებთან დაკავშირებით.</p>	
2.	საგანმანათლებლო და საბიბლიოთეკო რესურსების განვითარება	*	*	*	*	*	*	*	<p>განახლებულია ბიბლიოთეკის და სასწავლო რესურსების ფონდები საჭირო მოცულობით, მათ შორის ელექტრონული რესურსები;</p> <p>სასწავლო მასალების მინიმუმ 50% ხელმისაწვდომია ელექტრონულ ფორმატში;</p> <p>გაუმჯობესებულია სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება და ხელმისაწვდომობა;</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან/და დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;</p> <p>ბიბლიოთეკისა და ციფრული რესურსების გამოყენების მაჩვენებელი გაზრდილია;</p>	
3.	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარება და ციფრული შესაძლებლობების გაძლიერება	*	*	*	*	*	*	*	<p>საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა განახლებულია მინიმუმ 50%-ით;</p> <p>ვებ-გვერდი/სოციალური ქსელი ატარებს საკომუნიკაციო-საინფორმაციო ფუნქციას, ინფორმაცია განახლებულია რეგულარულად, ატვირთულია ყველა აუცილებელი დოკუმენტაცია;</p> <p>ყოველწლიურად განახლებულია დაწესებულების კატალოგი;</p>	IT მენეჯერი

									<p>კოლეჯის კომპიუტერული აუდიტორიების ინფრასტრუქტურა გუმჯობესებულია მინიმუმ 50 %-ით;</p> <p>უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცულობა და შექმნილია სარეზერვო ასლები;</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკითა და პროგრამული უზრუნველყოფით;</p> <p>კოლეჯში დანერგილია მინიმუმ ერთი ახალი პლატფორმა/პროგრამა.</p> <p>დანერგილია თანამედროვე IT ტექნოლოგიები როგორც ადმინისტრაციულ, ისე სასწავლო პროცესებში;</p> <p>გუმჯობესებულია ციფრული რესურსების გამოყენების ეფექტიანობა როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლების, ისე სტუდენტების მხრიდან.</p> <p>გაზრდილია თანამშრომლებისა და სტუდენტების ციფრული კომპეტენციის დონე ტექნოლოგიების გამოყენებაში.</p> <p>თანამშრომლების მინიმუმ 70%-ს გავლილი აქვს ციფრული კომპეტენციის ამაღლების ტრენინგი;</p> <p>ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენება ინტეგრირებულია სასწავლო/სამუშაო გარემოში საჭიროებისამებრ.</p>	
4.	ფინანსური მდგრადობის ხელშეწყობა, მათ შორის დაფინანსების სხვადასხვა წყაროების მოძიება	*	*	*	*	*	*	*	<p>კოლეჯს მოზიდული აქვს ახალი დაფინანსების წყაროები (გრანტები, პროექტები, პარტნიორობა);</p> <p>დამატებითი დაფინანსების წლიური მოცულობა გაზრდილია მინიმუმ 10%-ით;</p> <p>მიღწეულია სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობა და ინფრასტრუქტურის ოპტიმალურად გამოყენება;</p> <p>გაფორმებულია მინიმუმ 2 სტრატეგიული პარტნიორობა ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან;</p> <p>მოძიებულია ალტერნატიული დაფინანსების წყარო/პროექტი (მინიმუმ ერთი);</p>	<p>დირექტორის მოადგილე;</p> <p>ბუღალტერი</p>

სტრატეგიული მიზანი №5: სტრატეგიული პარტნიორობების, საერთაშორისო თანამშრომლობისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის გაძლიერება										
№	აზიანა	წლები						შესრულების ინდიკატორი/ საშიზნე ნიშნული	პასუხისმგებელი პირ(ებ)ი	
		2026	2027	2028	2029	2030	2031			2032
									შემოსავლების სტრუქტურა არის დივერსიფიცირებული; კოლეჯის ფინანსური მდგრადობა გაძლიერებულია და უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის მიზნების მხარდაჭერას; შედგენილია საპროგნოზო ფინანსური გეგმა სამოქმედო გეგმით გაწერილი აქტივობების უზრუნველსაყოფად; ყოველწლიურად გაზრდილია პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (მინიმუმ 10%), რაც დამატებით უზრუნველყოფს ფინანსურ მდგრადობას;	
1.	საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება და ინტერნაციონალიზაცია		*	*	*	*	*	*	გაფორმებულია თანამშრომლობის მემორანდუმები/ხელშეკრულებები უცხო ქვეყნის არანაკლებ ორ ორგანიზაციასთან და კოლეჯს ჰყავს მინიმუმ 2 საერთაშორისო პარტნიორი; დაორგანიზებულია მეხვედრები უცხოელ პარტნიორებთან; მონაწილეობა საერთაშორისო ფორუმებსა და პროექტებში გაზრდილია ყოველწლიურად; პერსონალს გავლილი აქვს ტრენინგები ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით; განხორციელებულია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მინიმუმ 2 ინიციატივა (სემინარები, ვებინარები, სამუშაო ჯგუფები); ინსტიტუციური შესაძლებლობები საერთაშორისო თანამშრომლობისთვის გაზრდილია მინიმუმ 20%-ით, რაც უზრუნველყოფს კოლეჯის სტაბილურ საერთაშორისო აქტივობებს; განხორციელებულია სასწავლო ტურები; კოლეჯს ჰყავს თანამშრომელი რომელსაც გააჩნია უცხოური პროექტების შექმნის დადასტურებული კომპეტენცია ან/და მასში მონაწილეობის გამოცდილება;	დირექტორის მოადგილე
2.	ადგილობრივი და ეროვნული პარტნიორობის გაძლიერება	*	*	*	*	*	*	*	კოლეჯს გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები/ხელშეკრულებები ადგილობრივ	

									<p>პროფესიულ და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან; სამოქალაქო სექტორთან განხორციელებული აქტივობები გაზრდილია ყოველწლიურად; განხორციელებულია ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტები; განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობა აღწევს მინიმუმ 80%-ს; გაძლიერებულია კოლეჯის როლი და აღიარება ადგილობრივ საგანმანათლებლო და სამოქალაქო გარემოში;</p>
3.	საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სოციალური პასუხისმგებლობის გაძლიერება	*	*	*	*	*	*	*	<p>საზოგადოებასთან კომუნიკაციის მიზნით განხორციელებულია აქტივობები (ღონისძიებები, შეხვედრები, ტრენინგები, პრეზენტაციები), მათ შორის ერთობლივ ღონისძიებებში მონაწილეობით; განხორციელებულია მინუმუმ 1 სოციალური პროექტი ყოველწლიურად; რეგულარულად ხორციელდება კორპორატიული კულტურის განსავითარებელი ღონისძიებები; სტუდენტებისა და საზოგადოების კმაყოფილების დონე საზოგადოებასთან ურთიერთობის და სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით გაზრდილია; განხორციელებულია კოლეჯის ცნობადობის ასამალღებელი/სარეკლამო ღონისძიებები ყოველწლიურად, რითაც გაზრდილია კოლეჯის ცნობადობა; გაზრდილია მომართვიანობა პირებისა, რომლებიც ინტერესდებიან კოლეჯით;</p>